ოქმი:**ო03. 3726114001**

თარიღი:**24/04/2026**

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2026 წელი, 23 აპრილი

ქ.ოზურგეთი

15:00-15:30 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, ც. ცინცაძე, ე. წუწუნავა, ბ. თოიძე, დ.თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 95,1%- თ, გეგმიური საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთ სახე „სხვა შემოსავლები“ შესრულებულია 81,6%-ით, გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი 81,0 %-ს შეადგენს. ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, 350 ათასი ლარიდან გახარჯულია 225,1 ათასი ლარი. არსებულ ნაშთებზე, კერძოდ 2026 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის

ანგარიშზე ირიცხებოდა 16432,6 ათასი ლარი, მთლიანი ნაშთიდან 4364, 8 ათასი ლარი საკუთარი შემოსავლებიდანაა, რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ მართალია სოციალური მიმართულებით სარეზერვო ფონდის ხარჯვის მაჩვენებელი შემცირებულია, მგრამ კვლავ მაღალია. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ გამოვლენილი ხარვეზები არაა არსებითი ხასიათის, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი